სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 15 იანვრის №5 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის №10/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№3 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **01.03.2024**

13.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №216

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა შემდეგი 4 წევრი: 1. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ასოც. პროფ. ირაკლი ბრაჭული (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) თეა ჭუმბურიძე; 4. ასოც. პროფ. ანასტასია ზაქარიაძე (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. თეიმურაზ პაპასქირის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების

შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, კომისიის თავმჯდომარემ მიიღო საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების პერიოდში დაინტერესებულ პირთა მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია დალუქული სახით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – ელენე მეძმარიაშვილმა.

ელენე მეძმარიაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

კონკურსანტმა ელენე მეძმარიაშვილმა დაამთავრა აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის" ფაკულტეტი 1971 წელს კვალიფიკაციით „ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი. 1978 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (დოქტორთან გათანაბრებული).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ ელენე მეძმარიაშვილის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა ამ პროგრამების შექმნის დღიდან, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა თუ სალექციო კურსების ავტორობა, ვაკანსიის შესაბამისი პროფილით, ფულბრაიტის პროგრამით, აშშ-ში, კერძოდ, რატგერსის უნივერსიტეტში სამეცნიერო მივლინებით ყოფნა და ა.შ. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

კონკურსანტ ელენე მეძმარიაშვილის სამეცნიერო ნაშრომები მნიშვნელოვანია ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საქმიანობისთვის. ის მუშაობს ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე, კერძოდ, ქალთა ჩართულობაზე აშშ-ს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში, ახალგაზრდულ მოძრაობებზე, ისტორიის სწავლების ასპექტებზე და ა.შ. საკონკურსო ანკეტაში მითითებული 38 სამეცნიერო ნაშრომიდან 2 მონოგრაფიაა, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს 2002 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა რეცენზირებად თუ რეფერირებად საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს. ელენე მეძმარიაშვილი ასევე აქტიურად მონაწილეობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც წარადგენს მოხსენებებს სხვადასხვა აქტუალურ პრობლემებზე.

ელენე მეძმარიაშვილის საერთაშორისო კონტაქტები (თანამშრომლობა აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორებთან და ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულება რუზველტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან (ნიდერლანდები) ხელს შეუწყობს თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ქართული ამერიკისმცოდნეობის ინტერნაციონალიზაციას.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – „ამერიკისმცოდნეობის ნარკვევები" (თბილისი: გამომცემლობა „კლიო", 2023) კარგად ასახავს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია სრულად წარმოაჩენს კონკურსანტის შესაძლებლობებს და მის მომავალ მიზნებს. მასში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ნაწილები.

კონკურსანტი არის ევროპაში ისტორიის სწავლების ობსერვატორიის მრჩეველთა სამეცნიერო საბჭოს წევრი, ევროსაბჭოს ისტორიის ექსპერტი; OHTE-ს (Observatory on History Teaching in Europe) მრჩეველთა სამეცნიერო საბჭოს წევრი; აშშ-ს ამერიკის შესწავლის ასოციაცია (American Studies Association); აშშ-ს სლავური, აღმოსავლეთ ევროპული და ევრაზიული კვლევების ასოციაციის (Association for Slavic, East European, and Eurasian Studies) წევრი; აშშ-ს ცენტრალური ევრაზიის კვლევების საზოგადოების (Central Eurasian Studies Society) წევრი; ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის თანადამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი; ევროკლიოს (ისტორიის პედაგოგთა ევროპული ასოციაციის) წევრი; ისტორიის პედაგოგთა საქართველოს ასოციაციის თანადამფუძნებელი და მრჩეველთა საბჭოს

წევრი. ის ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს და ძირითად კომპიუტერულ პროგრამებს. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე კონკურსანტი იყო ოთხი სადოქტორო, სამი სამაგისტრო და 11 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. ის არის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. ჩატარებული ლექციები თსუ ნორჩ ჰუმანიტართა სკოლასა და საბავშვო უნივერსიტეტში. 2022 წლიდან არის თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი და ა.შ.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. ასევე ისაუბრა გეგმებზე, თუ როგორ უნდა მიაღწიოს მიმართულებაზე არსებულმა სამეცნიერო ჟურნალმა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებას და ა.შ. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე სრული წესების დაცვით ჩატარდა ფარული კენჭისყრა შედეგად. კომისიის წევრებმა დალუქეს ფარული კენჭისყრისათვის განკუთვნილი ყუთი და ხელი მოაწერეს ლუქს. ამის შემდგომ მათ ხელი მოაწერეს ყველა ბიულეტენს. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ელენე მეძმარიაშვილის კანდიდატურას. ელენე მეძმარიაშვილის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორის თანამდებობაზე არჩევა ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით. მისი თანამშრომლობა აშშ-ს თუ ევროპის ცენტრებთან მეტად მნიშვნელოვანია ამ კუთხით. ეს ასევე ხელს შეუწყობს ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემდგომ დახვეწა-განვითარებას როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. ელენე მეძმარიაშვილი თსუ-ში ამ მიმართულების დაფუძნების დღიდან (1998 წელი) მისი ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი იყო, რაც კარგად ჩანს მის მიერ ამ 26 წლის განმავლობაში გაწეული კვლევებითა თუ საქმიანობით.

ერთხმად დაადგინეს: 1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ელენე მეძმარიაშვილი**;

2. გამოქვეყნდეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

კომისიის მდივანი:

წევრები:

თარიღი:

01.03.2024